სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

სარეგისტრაციო ფურცელი

14.11.2023 წელი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1) ჯონი ნადირაძე - წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი -

2) შოთა ადეიშვილი - შ.პ.ს. ,,შოთა ადეიშვილის" დირექტორი -

3) ქეთინო ფანცულაია – შ.პ.ს ,,ბავშვთა საავადმყოფოს" დირექტორი -

4) თინათინ ხარძიანი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი -

5) ნუგზარ ჩაჩუა - შ.პ.ს. ,,მყინვარის" დამფუძნებელი -

6) გია უღრელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი (ს.ს საქართველოს რკინიგზის სამტრედიის სავაგონო დეპოს უფროსი -

7) ნინო შარაშენიძე – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების ორგანიზაციის" სამტრედიის კოორდინატორი -

8) ია კოპალეიშვილი - შ.პ.ს. ,,არგოს" დირექტორი -

9) ვენერა ოდილავაძე – სსიპ ქალაქ სამტრედიის №3 საჯარო სკოლის დირექტორი -

10) ლუარა კახიანი – შ.პ.ს ,,ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი -

11) თამაზ ნიკურაძე – შ.პ.ს ,,სამტრედიის მაცნეს" ტექნიკური მენეჯერი -

12) თამაზ მურღულაია–არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიელის" ხელმძღვანელი -

13) ჯონი სტურუა - ს.ს. ,,მოგზაურის" დირექტორი -

14) პავლე ხაჩატუროვი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი (მეწარმე) -

15) ლევან ცირეკიძე-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი (სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი -

დამსწრე პირები :

1. დავით ბაღდავაძე -სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -

2. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი

N1

ქ. სამტრედია 14 ნოემბერი 2023 წელი

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა, სხდომას თავმჯდომარეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1) ჯონი ნადირაძე - წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი ;

2) ქეთინო ფანცულაია – შ.პ.ს ,,ბავშვთა საავადმყოფოს" დირექტორი ;

3) თინათინ ხარძიანი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ქალაქ სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

4) ნუგზარ ჩაჩუა - შ.პ.ს. ,,მყინვარის“ დამფუძნებელი;

5) ნინო შარაშენიძე – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების ორგანიზაციის“ სამტრედიის კოორდინატორი;

6) ია კოპალეიშვილი - შ.პ.ს. ,,არგოს“ დირექტორი;

7) ვენერა ოდილავაძე – სსიპ ქალაქ სამტრედიის №3 საჯარო სკოლის დირექტორი ;

8) ლუარა კახიანი – შ.პ.ს ,,ჯეოჰოსპიტალსის“ სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი;

9) თამაზ ნიკურაძე – შ.პ.ს ,,სამტრედიის მაცნეს" ტექნიკური მენეჯერი ;

10) თამაზ მურღულაია–არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიელის“ ხელმძღვანელი;

11) პავლე ხაჩატუროვი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი (მეწარმე);

12) ლევან ცირეკიძე-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი (სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი;

დამსწრე პირები :

1. დავით ბაღდავაძე -სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ;
2. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურულ;ი ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ;

დღის წესრიგი:

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

განხილვა:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმოუდგინა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

დავით ბახტაძემ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 25,887.4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის დამტკიცებული მთლიანი შემოსულობების ოდენობაზე 2,996.9 ათასი ლარით მეტია.

2024 წლის პროგნოზით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 22,037.1 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1,732.3 ათასი ლარით (8.5%-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 19,237.1 ათასი ლარით;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11.5%-ით (1,982.3 ათასი ლარით).

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2,800.0 ათას ლარს;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 8,2%-ით (250,0 ათასი ლარით) მცირდება.

✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შემცირდა 105.5 ათასი ლარით და შეადგენს 269.5 ათას ლარს; (თავდაცვის კოდექსის შესაბამისად გაწვევის სამსახურის ფუნქცია გადავიდა თავდაცვის სამინისტროში).

➢ **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 595.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ პროცენტები 355.9 ათასი ლარი.

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 13.0%-ით (67.0 ათასი ლარით) იზრდება.

✓ რენტა 240.0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა 41,2%-ით (30,0 ათასი ლარით) იზრდება. ზრდა გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიების ოდენობით.

➢ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1,418.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ სანებართვო მოსაკრებლები 20.0 ათასი ლარი;

✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1,208.0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 160.0 ათასი ლარი;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი 5.0ათასი ლარი;

✓ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 25.4 ათასი ლარი;

➢ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 500.0 ათასი ლარის** ოდენობით.

➢ **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე** - 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 25,887.4 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2,996.9 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორით: საგადასახადო, საკუთარი შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

➢ ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 1,721.7 ათასი ლარით და შეადგენს 4,100.7 ათას ლარს, მათ შორის:

✓ გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება - 1,482.5 ათასი ლარი;

✓ ბინათმშენებლობა - 450.3 ათასი ლარი;

✓ წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 80.0 ათასი ლარი;

✓ გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 770.5 ათასი ლარი;

✓ საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 12.0 ათასი ლარი;

✓ სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 1,300.9 ათასი ლარი.

✓ სოფლის მეურნეობის განვითარება - 4.5 ათასი ლარი.

➢ დასუფთავება და გარემოს დაცვის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 513.8 ათასი ლარით და შეადგენს 3,694.0 ათას ლარს, მათ შორის:

✓ ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 2,362.0 ათასი ლარი

✓ ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 717.0 ათასი ლარი

✓ დასუფთავება - 615.0 ათასი ლარი;

➢ განათლების მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 418.3 ათასი ლარით და შეადგენს 4,399.3 ათას ლარს, მათ შორის:

✓ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა

✓ (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება - 4,039.3 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით თანხები გაზრდილია 539.3 ათასი ლარით (15.4%). დამატებით გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდით.

✓ დაწყებითი ზოგადი განათლება

აღნიშნული წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსწავლეების გადაყვანა და სკოლების მცირე რეაბილიტაცია.

✓ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 300.0 ათასი ლარი;

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით თანხები გაზრდილია 19.0 ათ. ლარით (6.8%), რაც გამოწვეულია მომუშავეთა ხელფასების მატებითა და მიმდინარე ხარჯების გაზრდით.

✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 60.0 ათასი ლარი;

➢ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება შემცირებულია 387.8 ათასი ლარით და შეადგენს 4,658.7 ათას ლარს, (შემცირება განაპირობა სპორტული მოედნების მშენებლობის მიმართულებით შესრულებლმა სამუშაოებმა.) მათ შორის:

✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2,638.5 ათასი ლარი;

✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1,377.8 ათასი ლარი;

✓ შპს „სამტრედიის მაცნე" - 104.4 ათასი ლარი;

✓ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი - 60.0 ათასი ლარი;

✓ ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 218.0 ათასი ლარი;

➢ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 667.7 ათასი ლარით და შეადგენს 3,004.7 ათას ლარს, მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები - 311.8 ათასი ლარი;

✓ სოციალური პროგრამები - 2,679.9 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

- ააიპ „სახლი თანადგომა" – 344.5 ათასი ლარი;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი" – 222.4 ათასი ლარი;
- დედათა და ბავშვთა დახმარება - 320.0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები - 1,587.0 ათასი ლარი;
- დაკრძალვის ხარჯი - 6.0 ათასი ლარი;

ასევე, გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლ დაზიანებული მოქალაქეების დახმარება - 200.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის განხორციელება წარმოადგენს ახალ ინიციატივას.

✓ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა - 13.0 ათასი ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: დავით ბახტაძე

სხდომის მდივანი: ია ხოშტარია